საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/77 “ 5 ” აგვისტო 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ 13[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 4 საშტატო ერთეული;

ბ) სიღნაღის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2022 წლის 5 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი